ხელშეკრულება №2018-76
საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი

30 აგვისტო, 2018 წ.

ერთი მხრივ, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში (,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგეობის **ოთარ ცოტნიაშვილის** სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ეროვნული არქივის დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსის, **თინათინ ჯიღაურის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსყიდველის 2008-2012 წლების საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება (CPV: 92512000), რომელიც, საჭიროების გათვალისწინებით, მოიცავს:

ა) დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგებას შედგენილი გეგმის მიხედვით, საქმეების სისტემატიზაციას წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;

ბ) დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკულ ექსპერტიზას;

გ) საქმის ფორმირებას, საქმეში ფურცლების სისტემატიზაციას, საბუთების შედგენას, საქმეების შეკერვას და ფურცლების ნუმერაციას;

დ) ყდების გაფორმებას, დამოწმებული ფურცლების ჩაწებებას, შესანახ საქმეთა სისტემატიზაციას, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფას და შესაბამისი აქტის შედგენას;

ე) მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ანაწერების შეჯერებას, შენაკრავების განლაგებას სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებების გაწევას.

2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება 998,56 (ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებს გათვალისწინებით (დანართი N1 - წინასწარი ხარჯთაღრიცხვა).

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების „2.1" პუნქტში მითითებული ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გაწეული მომსახურებების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული თანხის გათვალისწინებით.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო საბოლოო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

2.4 მომსახურების ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის

ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილება.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2 უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს ერედვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსი ალექსანდრე მაისურაძე, ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

3.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს მიმწოდებლის მხრიდან წარმოადგენს დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი, ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და იმ მოცულობით, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

ბ) შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2018 წლის 05 სექტემბრიდან 2018 წლის 02 ოქტომბრის ჩათვლით. მომსახურების გაწევის ადგილია: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოთხოვოს შემსყიდველს აანაზღაუროს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებული დათქმის შესაბამისად;

ბ) მოთხოვოს შემსყიდველს შეუქმნას მომსახურების გაწევისთვის სათანადო პირობები.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებში დათქმული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს მიმწოდებელი აუცილებელი მასალით (საქმეთა ყდები, ქაღალდი, წებო, კანაფი, ძაფი და სხვა);

გ) უზრუნველყოს მიმწოდებელისათვის სამუშაო ოთახის გამოყოფა და შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

მოთხოვოს მიმწოდებელს განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო შემსყიდველის მხრიდან კადრების სამსახურის უფროსი, ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

6.2 თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით.

6.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდას;

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 სამუშაო დღით ადრე;

დ) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ე) წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს: ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს–მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში შემსყიდველი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს უხდის პირგასამტეხლოს წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახადა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

10. დავის გადაწყვეტა

10.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

10.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 (წინასწარი ხარჯთაღრიცხვა) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ორი - მიმწოდებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მის:ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE85KS0000000330300001
ს/კ 218065055

ერედვის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

ლალი ცომაიაშვილი

მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგარიშის N 707447080
ს/კ 211358957

დაწესებულებების დოკუმენტების
სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების
განყოფილების უფროსი

თინათინ ჯღარკავა

დანართი N1

სსიპ-საქართველოს ეროვნულ არქივს და ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმებული გამგეობის 2008-2012 წ.წ. დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ხელშეკრულების დანართი წინასწარი ხარჯთაღრიცხვა

N	ტარიფის ნომრები	მომსახურების სახეობა	საზომი ერთეული	ერთეულის ღირებულება	რაოდენობა	ჯამური თანხა
1	2	3	4	5	6	7
1	1.2.	დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგების გეგმის შედგენა (17.70*1.00=17.70)	1 გეგმა	17.70	1	17.70
2	1.4.2.	საქმეთა სისტემატიზაცია დოკუმენტებისათვის შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარებამდე ფონდის შიგნით წლებისა და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით (364*0.50:10=18.20)	10 შეს. ერთეული	0.50	364	18.20
3	1.6.1.1.	სამეცნიერო და პრაქტიკული შემფასებელი ექსპერტიზა მმართველობითი დოკუმენტების ფურცლობრივი გადათვალიერებით (344*1.00=344.00)	1 შეს. ერთეული	1.00	344	344.00
4	1.6.4.1.	სამეცნიერო და პრაქტიკული შემფასებელი ექსპერტიზა პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ფურცლობრივი გადათვალიერებით (20*0.20=4.00)	1 შეს. ერთეული	0.20	20	4.00
5	1.7.1	საქმეთა ფორმირება დოკუმენტების დაფანტული ფურცლებიდან (1000*0.50:10=50.00)	10 ფურცელი	0.50	1000	50.00
6	1.8.1	საქმეში ფურცლების სისტემატიზაცია (9000*1.00:100=90.00)	100 ფურცელი	1.00	9000	90.00
7	1.11.	მმართველობითი საქმეების სათაურების შედგენა (120*1.10 =132.00)	1 სათაური	1.10	120	132.00
8	1.15.	არასწორად ფორმირებულ საქმეთა დაშლა, სამაგრების ამოღება (220*0.15= 33.00)	1 საქმე	0.15	220	33.00
9	1.16.1.	მმართველობითი საქმეების შეკერვა (100*0.35=35.00)	1 შეს. ერთეული	0.35	100	35.00
10	1.16.2.	პირადი შემადგენლობის საქმეების შეკერვა (20*0.15=3.00)	1 შეს. ერთეული	0.15	20	3.00
11	1.17.	საქმეში ფურცლების ნუმერაცია (13600*0.85:100= 115.60)	100 ფურცელი	0.85	13600	115.60
12	1.18.	საქმის ყდის გაფორმება (120*0.20=24.00)	1 ყდა	0.20	120	24.00

13	1.19.	დამამოწმებელი ფურცლის ჩაწებება (120*0.20:10=2.40)	10 ფურცელი	0.20	120	2.40
14	1.21.	საქმის ყდაზე საარქივო შიფრისა და შტამბის დასმა (120*0.30:10=3.60)	10 შეს. ერთეული	0.30	120	3.60
15	1.22.	საქმეთა შენაკრავის ფორმირება (120*0.35:10= 4.20)	10 შეს. ერთეული	0.35	120	4.20
16	1.23.	იარლიყების შედგენა (18*0.20= 3.60)	1 იარლიყი	0.20	18	3.60
17	1.24.	შენაკრავების განლაგება (18*0.60:10=1.08)	10 შენაკრავი	0.60	18	1.08
18	1.25.	მოწესრიგების პროცესში საქმეთა გადაადგილება (364*0.20:10=7.28)	10 შეს. ერთეული	0.20	364	7.28
19	1.26.1.	საქმის ანაწერის შედგენა: დაბეჭდვა (120*0.15=18.00)	1 სათაური	0.15	120	18.00
20	1.26.3	საქმის ანაწერის შედგენა: ხელნაწერი (120*1.00:10=12.00)	10 სათაური	1.00	120	12.00
21	1.27.2.	ანაწერის წინასიტყვაობის შედგენა (1*28.0= 28.00)	1 წინასიტ.	28.0	1	28.00
22	1.29.	ანაწერის გაფორმება (3*10.00= 30.00)	1 ანაწერი	10.0	3	30.00
23	1.31.	აქტის შედგენა იმ საქმეებისა და დოკუმენტების განადგურების შესახებ, რომლებიც არ ექვემდებარება შენახვას (12*0.30=3.60)	აქტის 1 პოზიცია	0.30	12	3.60
24	1.32.	იმ საქმეთა შენაკრავის ფორმირება, რომლებიც არ ექვემდებარება შენახვას (244* 0.15:10=3.66)	10 შეს. ერთეული	0.15	244	3.66
25	1.34.	დოკუმენტების მოწესრიგების დამთავრების შესახებ აქტის შედგენა (1*11.0= 11.0)	1 აქტი	11.0	1	11.00
26	1.35	საქმეთა განმტვერიანება (364*1.00:100=3.64)	100 შეს. ერთეული	1.00	364	3.64
სულ						998.56

სულ გასაწევი მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 998.56 (ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს.

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილების უფროსი

თ. [signature]

თინათინ ...

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ოთარ ცატნიაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის

არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი

30 აგვისტო 2018 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ გამართივებული შესყიდვის საშუალებით ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008-2012 წლების საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების (CPV-92512000) მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში, რომელსაც ახორციელებს **საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს ეროვნული არქივი** ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლქტს;

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სახსახურის

პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

---------- ალექსანდრე მაისურაძე